მემორანდუმი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი "საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ", წარმოდგენილი მისი დირექტორის ქეთევან ჩაჩავას სახით და მეორე მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო მისი თავმჯდომარის ავთანდილ ბერიძის სახით, შეთანხმდნენ რომ:

- ხელს შეუწყობენ საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციას, იზრუნებენ აღნიშნულ ორგანიზაციების შესახებ საქართველოს, აჭარის მოსახლეობის ინფორმირებასა და ცნობადობის გაზრდაზე შესაბამისი საინფორმაციო კამპანიების განხორციელების გზით;
- ორივე მხარის ინტერესების შესაბამისად სხვადასხვა დონეზე გამართავენ კონსულტაციებს და გაცვლიან მოსაზრებებს;
- მხარეებს შორის ურთიერთობა მემორანდუმის ფარგლებში დაეფუძნება ურთიერთპატივისცემის, თანასწორობისა და ურთიერთდახმარების პრინციპებს;
- პატივს სცემენ ერთმანეთის სახელს, იმიჯსა და ავტორიტეტს.

მუხლი 1 - მხარეთა ვალდებულებები:

1. საქართველოს, ევროკავშირსა და ნატოსთან ურთიერთობის გაღრმავების მიზნით საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით ღონისძიებების ერთობლივი დაგეგმვა;

2.მემორანდუმით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად სათანადო პირობების შექმნა;

3.თავიანთი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ერთმანეთისათვის გაზიარება მხარეთა შორის კონსულტაციების დროს ოფიციალური დოკუმენტებისა და სხვა საინფორმაციო ხასიათის მასალების გაცვლის ჩათვლით;

4.ერთობლივი კონფერენციების, სემინარების, შეხვედრების, სამუშაო თათბირების და სხვა ღონისძიებების გამართვა იმ შემთხვევაში, თუ ისინი ნამდვილად მიზანშეწონილია ორივე მხარისათვის. ყოველი მხარე ღონისძიებებში მონაწილეობას მიიღებს მეორე მხარის მიწვევით და ორივე ორგანიზაციის საპროცედურო წესების შესაბამისად.

მუხლი 2 - ფინანსური საკითხები

მემორანდუმი არ წარმოშობს ფინანსურ ვალდებულებებს მხარეთა შორის. ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით მხარეები შეთანხმდებიან დამატებითი ხელშეკრულებებით.

მუხლი 3 - დასკვნითი დებულებანი

1.მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 3 წლის განმავლობაში;

2. მემორანდუმის მოქმედება ავტომატურად გრძელდება შემდგომი ერთწლიანი პერიოდებით, მანამდე, სანამ ერთ-ერთი მხარე მემორანდუმის ვადის გასვლამდე 1 თვით ადრე არ აცნობებს მეორე მხარეს საკუთარი სურვილის შესახებ შეწყვიტოს წინამდებარე მემორანდუმი;

3. მემორანდუმი შეიძლება შეწყვეტილ იქნეს მხარეთა მიერ ნებისმიერ დროს ორმხრივად ან ცალმხრივად ხელშეკრულების შეწყვეტამდე 3 თვით ადრე მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით;

4. მემორანდუმში მხარეთა მიერ წერილობითი ფორმით შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები, რომლებიც ძალაში შევა მემორანდუმის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად;
5. მხარეთა შორის მემორანდუმით გათვალისწინებულ საკითხებზე დავის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მხარეთა შორის მოლაპარაკებების გზით და არ გადაეცემა მესამე მხარეს ან სასამართლოს გადასაწყვეტად.

შესრულებულია ქ. თბილისში, 20 ოქტომბერს, 2 ეგზემპლიარად ქართულ ენაზე, თითოეული ეგზემპლიარი თითოეული მხარისათვის.

მხარეთა რეკვიზიტები:

სსიპ "საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ"	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
მის: ქ. თბილისი, შ. დადიანის ქ 2\1	მის: ქობულეთის მუნიციპალიტეტი, დ. ჩაქვი, მეგენეიშვილის #25
დირექტორი	**თავმჯდომარე**
ქეთევან ჩაჩავა	**ავთანდილ ბერიძე**